

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების
მართვის საბჭოს აპარატს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1) 2014-2015 წლებში თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 2) 2014-2015 წლებში თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 3) 2014-2015 წლებში თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 4) 2014-2015 წლებში თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 5) 2014-2015 წლებში თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების, მისი დანართების და მოხსენებითი ბარათების ასლები;
- 6) 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის და ადგილის მითითებით);
- 7) 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის და ქვეყნის მითითებით;
- 8) 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- 9) 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
- 10) 2014-2015 წლებში შესყიდული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის და შესყიდვის ფასის მითითებით);

- 11) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სია, რომელიც 2014-2015 წლებში სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);
- 12) 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;
- 13) 2015 წელს დასაქმებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია;
- 14) სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მრჩევლის თანამდებობაზე დანიშნული პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია, ასევე მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, სამუშაოს აღწერილობა და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;
- 15) დღეის მდგომარეობით დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა;
- 16) 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) შტატგარეშე მოსამსახურეებისათვის დარიცხული შრომის ანაზღაურების ოდენობა, მათ შორის ინფორმაცია დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ (ცალ-ცალკე);
- 17) 2015 წელს ბიუჯეტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული მიმოწერის (მათ შორის ელექტრონული მიმოწერის) ასლები;
- 18) 2014-2015 წლებში საკონსულტაციო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, თანდართული ცვლილებებით და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი